(1)

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № ეუ - 57

ქ. თბილისი „ 9 " თებერვალი 2016 წ.

1. **ხელშეკრულების მხარეები**

1.1. ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის უჩა ძოძუაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ავტოტესტ გეორგია" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვაჟა იორდანიშვილის სახით, „ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს მთავრობასა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას, წარმოდგენილი მისი სამდივნოს მიერ შორის მცირე და მსუბუქი შეიარაღებისა და ჩვეულებრივი საბრძოლო მასალის მარაგების პროგრამის განხორციელების შესახებ" გათვალისწინებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების ობიექტი და საგანი**

2.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია დანართი #1 გათვალისწინებული შემსყიდვლის ბალანსზე რიცხული ავტომანქანისთვის დიაგნოსტიკური მომსახურების შესრულება და ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის გზისთვის ვარგისიანობაზე ტესტირების ბარათის გაცემა (შემდგომში - მომსახურება) (CPV-71631000)

2.2. ტესტირების ბარათის ვადა განისაზღვრება 6 (ექვსი) თვით მისი გაცემის დღიდან.

3. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1. ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის დიაგნოსტიკური მომსახურების შესრულება და გზისთვის ვარგისიანობაზე ტესტირების ბარათის გაცემის საფასური შეადგენს **66.95** (სამოცდაექვსი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს. (დღგ-ის გარეშე)

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს **66.95** (სამოცდაექვსი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს. (დღგ-ის გარეშე).

4. **მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი**

4.1. მომსახურების გაწევა მოხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღისა.

4.2. მომსახურების გაწევის ადგილსამყოფელია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

5. **ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდვლისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველი ორგანიზაციის სსიპ სსსტც „დელტა"-ს მიერ გამოყოფილ პირებს.

6. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადა**

6.1. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის, ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის მომენტიდან არა უგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის ღირებულება.

6.3. მხარეები ანგარიშსწორებას ანხორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

7. **მხარეების უფლება-მოვალეობანი**

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველ ორგანიზაციას დათქმულ დროსა და ადგილზე გაუწიოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.

7.1.2. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების (მათ შორის უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) შემთხვევაში დაეკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.1.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.1.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

7.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7.2.2. მიმწოდებლისგან მიიღოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო, ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-სა.

7.3. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

7.3.1. მიმწოდებლისგან ითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე გაწევა.

7.4. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.5. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების

ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

7.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.8. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.9. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

8.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

9.2. დაევალოს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების კონტროლი შემსყიდველი ორგანიზაციის სსიპ სსსტც „დელტა"-ს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტს.

9.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10. სხვა პირობები

10.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2. მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

10.3. ხელშეკრულებაში ცლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების

პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

10.5. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან ვერ ასრულებს ვალდებულებებს. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

10.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"
მისამართი: ქ. თბილსი, მნათობის ქ. #73
ტელ./ფაქსი: 2955027
საიდენტიფიკაციო კოდი № 202297335
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი - TRESGE22
ანგარიშსწორების ანგარიში №
707297065

გენერალური დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებელი

_______________ ... მოძუაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ავტოტესტ გეორგია“

მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ
ტელ: 2 53 10 09
საიდენტიფიკაციო კოდი №204903747
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკის“ ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი TBCBGE 22
ანგარიშსწორების ანგარიში №
GE95TB 0677 6360 2010 0001

გენერალური დირექტორი

_______________ ვაჟა იორდანიშვილი

2016 წლის „ 9 “ თებერვლის № ეუ - 57 ხელშეკრულების დანართი №1

შემსყიდვლის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა

N	ავტოსატრანსპორტო საშუალების დასახელება	სახელმწიფო N	CPV	მომსახურების განზომილების ერთ.	რაოდ.	ერთ. ფასი (ლარი)	ჯამური ფასი (ლარი)
1	FORD TRANSIT	BSB-375	71631000	სხვა	1	66.95 (დღგ-ის გარეშე)	66.95 (დღგ-ის გარეშე)
საერთო ღირებულება 66.95 (სამოცდაექვსი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი (დღგ-ის გარეშე)							

შემსყიდველი:

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"

საიდენტიფიკაციო კოდი № 202297335

გენერალური დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებელი

[illegible]უნა მომჟამშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ავტოტესტ გეორგია“

საიდენტიფიკაციო კოდი №204903747

გენერალური დირექტორი

ვაჟა იორდანიშვილი

მიღება-ჩაბარების
აქტი

ქ. თბილისი 11-02- 2016 წ

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი-სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა", შემდეგომში – შემსყიდველი და მეორეს მხრივ, შპს „ავტოტესტ გეორგია“ შემდეგომში – მიმწოდებელი ვადასტურებთ, რომ ჩვენ შორის 2016 წლის 9 თებერვალს გაფორმებული N ეუ- 57 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 66.95 (სამოცდაექვსი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი (დღგ-ის გარეშე).

მიიღო
შემსყიდველი:

სსიპ-სსსტც „დელტა“

ჩააბარა
მიმწოდებელი:

შპს „ავტოტესტ გეორგია“

ვაჟა იორდანიშვილი